2013 წელი, 24 – 30 იანვარი
ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№2 (596) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



ტროპარი
სიტყვისა ღვთისა მსახურთა
თანა მოსაგრეო და ანდრიას
ქადაგებისა წარმართებაო,
ქართველთა განმანათლებელო
და სულისა წმიდისა
ქნარო დედაო ნინო, ევედრე
ქრისტესა ღმერთსა
შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი
მოციქული ქრისტესაგან
გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა
ღვთისა განსწავლული
მახარებელი ცხოვრებისა,
წინამძღვარი ქართველთა ერისა
გზათა სიმართლისათა
დედისა ღვთისა
საკუთარი მოწაფე ნინო,
შევამკოთ დღეს ყოველთა
ძნობითა სალმრთოთა
მეოხე მხურვალე,
მცველი დაუძინებელი.

წმინდა ნინო
ფერწერული ხატი ქუთაისის მუზეუმის კოლექციიდან, XIXს.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ახალი ტომები

ალბერ კოენი
დედაჩემი

ჯონ გოლზუორთი
რჩეული მოთხრობები



პროსპერ მერიმე
ილელი ვენერა

მარგერიტ დიურასი
საყვარელი
ჩრდილოეთ ჩინეთიდან

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის

გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, გთავაზობთ ლიტერატურის (არჩევითი გამოცდა) ტესტის ნიმუშს.

გვერდი 3-6

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ ბელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- ♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

CMYK

კონკურსი

ტურნირი „პითაგორას თასი 2013“

სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბავშვებში სწავლისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფორმირება, რაც როგორც გაკვეთილებზე სასწავლო პროცესის დახვეწით, ასევე კლასგარეშე მუშაობისას ყალიბდება.

სკოლის კლასგარეშე მუშაობის ძირითად ფორმას მათემატიკური წრეები წარმოადგენს, რომლებიც მოსწავლეთა მათემატიკური თვალთახედვის არეალის გაფართოებას, შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას, დამოუკიდებლად კვლევაძიების უნარის შეძენასა და, აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი შრომით დაინტერესებას და მეცნიერული კვლევის ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ საქმეში, სკოლის შიგნით, დიდად ეხმარება მათემატიკური საღამოები, ვიქტორინები, ხოლო სკოლის გარეთ – ოლიმპიადები, მათემატიკური ჭიდილები, ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცხადებული კონკურსები და სხვა ღონისძიებები.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა „პითაგორას თასის“ ყოველწლიური მათემატიკური ღია ტურნირი ნიჭიერ ბავშვთათვის, რომელიც დაარსდა არასამეწარმეო საზოგადოება „პითაგორას“ მიერ 2001 წელს. საზოგადოების თავმჯდომარეა ზურაბ აღდგომელაშვილი (2001-2007 წლებში ქ თბილისის მათემატიკის სწავლებისა და მეთოდიკის ლაბორატორიის გამგე; 2007 წლიდან დღემდე შ.პ.ს. საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსიტუტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, მკითხველისათვის ცნობილია, როგორც ავტორი არაერთი დამხმარე კლასგარეშე სახელმძღვანელოსი).

პითაგორას თასი 2013 წელი

V კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

5-1-1. ცხენი თივის ზვინს ჭამს ერთ თვეში, თხა – ორ თვეში, ცხვარი კი – სამ თვეში. რა დროში შეჭამენ ერთ თივის ზვინს სამივე ერთად?

5-1-2. 130 ცხვარი დაყავით ორ ნაწილად ისე, რომ მცირე გადიდებული 4-ჯერ ტოლი იყოს სამჯერ შემცირებული დიდი ნაწილისა.

5-1-3. ერთი მეგობარი ეუბნება მეორეს: „მომეცი მე შენი ორი ვაშლი და მაშინ ჩვენ გვექნება თანაბარი რაოდენობის ვაშლები”, – რაზეც მეორემ უპასუხა: „არა, უკეთესია შენ მომცე შენი ორი ვაშლი და მაშინ მე მექნება შენზე ორჯერ მეტი რაოდენობის ვაშლი”. რამდენი ვაშლი ჰქონდა თავდაპირველად თითოეულს?

5-1-4. სამ მოსწავლეს გარკვეული რაოდენობის ვაშლი აქვს. პირველი მოსწავლე დანარჩენ ორიდან თითოეულს აძლევს იმდენ ვაშლს, რამდენიც ჰქონდათ. შემდეგ მეორე ვაჟი დანარჩენ ორს აძლევს იმდენ ვაშლს, რამდენიც ჰქონდათ იმ მომენტში. ამის შემდეგ მესამემ დანარჩენ ორს (თითოეულს) მისცა იმდენი ვაშლი, რამდენი ვაშლიც ჰქონდათ. ყოველივე ამის შემდეგ თითოეულ მათგანს ჰქონდა 8 ვაშლი. რამდენი ვაშლი ჰქონდა თავდაპირველად თითოეულს?

5-1-5. ერთი ტურისტი ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქამდე მანძილის გავლას ანდომებს 10 დღეს, ხოლო მეორე კი - 15 დღეს. რა დროის შემდეგ შეხვდებიან ისინი, თუ ერთდროულად გამოვლენ ამ ქალაქებიდან?

VI კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

6-1-1. ხბო, რომელსაც მგელი გამოეკიდა, გაიქცა სახლისაკენ. მგელს ხბომდე მისასვლელად (თუ ხბო გაჩერებული იქნებოდა) სჭირდება 4წთ. ხბოს სახლამდე მისარბენად სჭირდება 6წთ. მგელი ორჯერ უფრო სწრაფად მირბის ვიდრე ხბო. შეასწრებს თუ არა ხბო სახლში შესვლას?

6-1-2. მათემატიკის გაკვეთილს არ ესწრებოდნენ მოსწავლეები, რომელთა რაოდენობაც წარმოადგენდა დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობის 1/6. მას შემდეგ, რაც გარეთ გამოვიდა ერთი მოსწავლე, არადამსწრებ მოსწავლეთა რაოდენობა დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობის 1/5-ის ტოლი გახდა. სულ რამდენი მოსწავლე ირიცხება სიით ამ კლასში?

6-1-3. მათემატიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებული აღმოჩნდა 5 მოსწავლე, რომელთაც, შესაბამისად, პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. დააგროვეს რა თითოეულმა მათგანმა მხოლოდ 15, 14 ან 13 ქულა. რამდენმა მონაწილემ დაიკავა თითოეული ადგილი, თუ ყველამ ერთად დააგროვა 69 ქულა?

6-1-4. კლასში 42 მოსწავლეა. მოიძებნება თუ არა წელიწადში ისეთი თვე, რომელშიც აქვს დაბადების დღე ამ კლასის მოსწავლეებიდან არანაკლებ ოთხს?

6-1-5. შეგვიძლია თუ არა, განვალაგოთ 20 ცალი 0-იანი და რამდენიმე 1-იანი ისე, რომ 0-იანის დიამეტრალურად მოპირდაპირე წერტილში იყოს 1-იანი და არც ერთი წყვილი 1-იანებისა არ მდებარეობდნენ წრეწირზე მიმდევრობით? პასუხი დაასაბუთეთ.

VII კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

7-1-1. ერთ ჭიქაში 5 კოვზი ჩაია, მეორეში კი – 5 კოვზი რძე. ერთი კოვზი რძე გადაასხეს მეორე ჭიქიდან პირველში და კარგად მოურიეს, ხოლო კოვზი რძიანი ჩაი გადაასხეს პირველი ჭიქიდან მეორეში. რა უფრო მეტია: პირველ ჭიქაში რძე, თუ მეორე ჭიქაში – ჩაი? როგორ შეიცვლება პასუხი, თუ ამ პროცედურას 10-ჯერ ჩავატარებთ? თუ მორევა არ მოხდება საგულდაგულოდ? თუ პირველ ჭიქაში ჩაის რაოდენობა მეტია მეორე ჭიქაში რძის რაოდენობაზე?

7-1-2. გვაქვს 5 ფურცელი. რამდენიმე მათგანს ჭრიან 5 ნაწილად (თითოეულს). მიღებული ნაჭრებიდან რამდენიმე მათგანს ისევ ჭრიან 5 ნაწილად (თითოეულს) და ა.შ. შესაძლებელია თუ არა ასეთი პროცედურის რომელიმე ვარიანტში აღმოჩნდეს 2013 ცალი ფურცლის ნაჭერი?

7-1-3. ყუთში დევს 100 სხვადასხვა ფერის ბურთულა: 28 წითელი, 20 მწვანე, 12 ყვითელი, 20 ლურჯი, 10 თეთრი და 10 შავი. ყუთში ჩაუხედავად რა უმცირესი რაოდენობა ბურთულებისა უნდა ამოვიღოთ, რომ მათ შორის აუცილებლად აღმოჩნდეს 15 ერთი ფერის ბურთულა?

7-1-4. ჭადრაკის ტურნირში მონაწილეობდა ორი მეშვიდეკლასელი და რაღაც რაოდენობის მერვეკლასელი. ორმა მეშვიდეკლასელმა ერთად დააგროვა 8 ქულა, ხოლო თითოეულმა მერვეკლასელმა დააგროვა ერთი და იმავე რაოდენობის ქულა. სულ რამდენი მერვეკლასელი მონაწილეობდა ტურნირში? (თითოეული მოთამაშე თითოეულს ხვდება მხოლოდ ერთხელ) იპოვეთ ყველა ამონახსნი.

7-1-5. დაუსწრებელ ტურში მონაწილეობდნენ მეშვიდეკლასელები. მათ მოცემული ჰქონდათ ამოსახსნელად 20 ამოცანა. აღმოჩნდა, რომ თითოეულმა მოსწავლემ ამოხსნა ორი ამოცანა და თითოეული ამოცანა იყო ამოხსნილი ორი მოსწავლის მიერ. დაამტკიცეთ, რომ ამოცანების ამოხსნების გარჩევა შეიძლება ისე წარვმართოთ, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაარჩიოს მხოლოდ ერთი ამოცანა და ამასთან ყველა ამოცანა იყოს გარჩეული.

VIII კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

8-1-1. დაამტკიცეთ, რომ არაერთნიშნა რიცხვის ციფრთა ნამრავლი ნაკლებია ამ რიცხვზე.

8-1-2. კლასში 31 მოსწავლეა. ყველას წლოვანებათა ჯამი ტოლია 434-ის. მოიძებნება თუ არა ამ კლასში 20 მოსწავლე, რომელთა წლოვანებაც ჯამში არის არანაკლები 280 წლისა?

8-1-3. სიბრტყეში მოცემულია 5 წერტილი, რომელთაგან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე. დაამტკიცეთ, რომ მათ შორის შეგვიძლია ავარჩიოთ ისეთი ოთხი წერტილი, რომელიც ამოზნექილი ოთხკუთხედის წვეროებს წარმოადგენს.

8-1-4. სულ რამდენი რიცხვია 100-დან 10 000-მდე ჩათვლით ნატურალურ რიცხვთა შორის, რომლის ჩანაწერშიც არის ზუსტად სამი ერთნაირი ციფრი?

8-1-5. მოცემულია კუთხე, რომლის გრადუსული ზომაა 19°. ავაგოთ მხოლოდ სახაზავისა და ფარგლის მეშვეობით 1°-იანი სიდიდის კუთხე.

IX კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

9-1-1. მათემატიკურ ოლიმპიადაზე ერთმანეთს შეხვდა 6 მოსწავლე. აღმოჩნდა, რომ მათ შორის ნებისმიერი სამეულიდან რომელიმე ორმა იცის ერთი და იგივე ენა. დაამტკიცეთ, რომ ამ მოსწავლეთა შორის მოიძებნება სამეული, რომელთაგან თითოეული თითოეულს დაელაპარაკება მისთვის გასაგებ ენაზე.

9-1-2. ორი წრეწირის გადაკვეთის *A* და *B* წერტილებზე გავლებულია ორი წრფე. ვთქვათ *C* და *D* – არის წერტილები I წრეწირთან მათი თანაკვეთის, ხოლო *E* და *F* – მეორე წრეწირთან. დაამტკიცეთ, რომ *CD* და *EF* წრფეები პარალელურია.

9-1-3. ვიპოვოთ ყველა სამეული მთელი რიცხვებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ განტოლებას $x^2+y^2+z^2=2xyz$.

9-1-4. მოცემულია *n+1* განსხვავებული ნატურალური რიცხვი, რომელთაგან თითოეული ნაკლებია *2n*-ზე.

როგორც აღვნიშნეთ, ყოველწლიური მათემატიკური ტურნირი „პითაგორას თასი“ შედგება 2 დაუსწრებელი და 1 დასწრებული (დასკვნითი) ტურისაგან.

ტურნირში გამარჯვებულები საჩუქრდებიან წიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით.

თუ გსურთ ტურნირში მიიღოთ მონაწილეობა, უნდა ამოხსნათ ქვემოთ მითითებული თქვენი კლასის ამოცანები, სათანადო მსჯელობითა და დასაბუთებით გააფორმოთ ის უჯრებიან რვეულში, თითოეულ ამოხსნილ ამოცანას დაუთმეთ რვეულის ერთი ფურცელი, ანუ რვეულის 2 გვერდი.

შემდეგ ტურში გასვლისათვის აუცილებელია დააგროვოთ ქულათა რაოდენობის მაქსიმუმის 90% მაინც.

რვეულის გარეკანზე დააწერეთ:

„პითაგორას თასი 2013“ დაუსწრებელი I ტური

გვარი სახელი _____

სკოლა _____

კლასი _____

რვეული 2013 წლის 15 თებერვლამდე ჩააბარეთ პითაგორას საზოგადოების თავმჯდომარეს ოფისში, რომლის მისამართია: თბილისი, უზნაძის ქ №77, კულტურის სახლი „იმედი“, ცენტრალურ შესასვლელში, რომელიმე მომსახურე პერსონალთან ან გამოაგზავნოთ ელფოსტაზე: **diophant_zura@rambler.ru**

საკონტაქტო ტელეფონები: 577 72-30-49; 2-79-36-93 (18:00-24:00)

X კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

10-1-1. მოცემული ΔABC ტოლფერდა.

$B\hat{A}C = B\hat{C}A = 80°$. და წვეროებიდან გავლებულია ორი წრფე მოპირდაპირე გვერდების გადაკვეთამდე შესაბამისად *D* და *E* წერტილებში. $C\hat{A}D = 60°;\ A\hat{C}E = 50°$

გამოვთვალოთ $A\hat{D}E$.

10-1-2. ყველა ორნიშნა რიცხვი, რომელიც არ ბოლოვდება 0-ით ამოწერილია ერთმანეთის მიყოლებით ისე, რომ ყოველი შემდეგი იწყება იმავე ციფრით, რომლითაც მთავრდება წინა ორნიშნა რიცხვი. ასე მიიღება რომელიღაც მრავალნიშნა რიცხვი. ყველა ასეთი რიცხვებიდან არჩეულია უდიდესი და უმცირესი. ვიპოვოთ მათი ჯამი.

10-1-3. ჭადრაკის ტურნირის თითოეულმა მონაწილემ დაგროვილ ქულათა ნახევარი ბოლო სამ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებთან დააგროვა. რამდენი მოჭადრაკე მონაწილეობდა ტურნირში?

10-1-4. კვადრატის გვერდი ტოლია 1-ის. კვადრატის ცენტრზე გავლებულია წრფე. ამ წრფეზე დაშვებულია კვადრატის ოთხივე წვეროდან მართობები. ვიპოვოთ ამ მართობების სიგრძეთა კვადრატის ჯამი.

10-1-5. შვიდნიშნა რიცხვებს შორის, რომლებიც შედგენილია ციფრებისაგან: 1; 2; 3; 4; 5; 6; 7 იპოვეთ ორი რიცხვი, რომელთაგან ერთი მეორის ჯერადია.

XI კლასი (დაუსწრებელი)
I ტური

11-1-1. რომელია მეტი $1-\frac{1}{2}+\frac{1}{3}-\frac{1}{4}+\ldots+\frac{1}{199}-\frac{1}{200}$ თუ $\frac{1}{101}+\frac{1}{102}+\ldots+\frac{1}{200}$?

11-1-2. დაფაზე, რომელიც შედგება *4x100* კვადრატული უჯრისაგან, დადებულია მართკუთხა ფორმის ქვები ისე, რომ: დაფარულია დაფა მთლიანად; არა აქვს ადგილი ქვების გადაფარვას; თითოეული ქვა ფარავს ზუსტად ორ უჯრას. დაამტკიცეთ, რომ შესაძლებელია დაფა გავხერხოთ, მასზე დახატული რომელიმე განივი ან გრძივი ხაზის გასწვრივ ისე, რომ არ გადავაადგილოთ და არ გავხერხოთ მასზე დაწყობილი არც ერთი ქვა.

11-1-3. ტოლფერდა ΔABC-ში *BC* ფუძის *H* შუაწერტილიდან ფერდზე დაშვებულია *HE* პერპენდიკულარი. *O* - არის *[HE]*-ს შუაწერტილი. დაამტკიცეთ, რომ *AO* და *BE* წრფეები მართობული არიან.

11-1-4. იპოვეთ ყველა ორნიშნა რიცხვი, რომლის კვადრატიც ტოლია მისი ციფრების კუბის ჯამისა.

11-1-5. *nxn* კვადრატული ცხრილის უჯრებში ჩაწერილია რიცხვები.

ყოველი „ჯვრის“ უჯრებში ჩაწერილი რიცხვების ჯამი არის არანაკლები a-ზე. („ჯვრის“ ქვეშ იგულისხმება ფიგურა შედგენილი ერთი სრული სტრიქონისა და ერთი სრული სვეტისაგან). რა უმცირესი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს ყველა უჯრაში ჩაწერილი რიცხვების ჯამმა?

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

ლიტერატურა (არჩევითი გამოცდა)

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

შესავალი

ტესტი იყოფა ორ ძირითად ნაწილად. პირველით მოწმდება საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების ცოდნა და ამ თხზულებების ცალკეული მონაკვეთების ადეკვატური გაგებისა და გააზრების უნარი, კერძოდ, აბიტურიენტს მოეთხოვება ამა თუ იმ ნაწარმოების ფაბულისა თუ ცალკეული ეპიზოდების გახსენება, პერსონაჟის ხასიათის ანდა ქცევის მოტივაციის გააზრება და სხვ., აგრეთვე, ტექსტის მოყვანილი მონაკვეთის არსისა თუ ცალკეული სიტყვისა და ფრაზის მართებული გაგება. დავალებები შეიძლება იყოს ერთქულიანი, ორქულიანი, სამქულიანი და ა. შ. (ყოველი მათგანის რიგითი ნომრის მარცხენა მხარეს, ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს დავალების მაქსიმალურ ქულას, რომლის მიღებაც შეუძლია აბიტურიენტს ამ კონკრეტული დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში). ტესტის პირველი ნაწილის მაქსიმალური ქულაა 30.

საგამოცდო ტესტის მეორე ნაწილი ამოწმებს ტექსტის ადეკვატური გაგების, მსჯელობისა და არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნების უნარს, წერის კულტურას. ეს ნაწილი ორი წერითი დავალებისაგან შედგება. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 25. აბიტურიენტს ევალება ორივე წერითი დავალების შესრულება.

პირველი წერითი დავალებით მოწმდება მხატვრული ტექსტების (ან მათი ნაწყვეტების) შედარებითი ანალიზის უნარი კონკრეტული სამი მითითების მიხედვით. ამ დავალებაში მოცემული იქნება ორი ტექსტი, რომელთაგან ერთი არ არის შეტანილი საგამოცდო პროგრამაში, ხოლო მეორე შეიძლება იყოს როგორც უცნობი, ასევე საპროგრამოც.

მეორე წერითი დავალება ესეს დაწერას მოითხოვს. აბიტურიენტმა უნდა დაასაბუთოს ან უარყოს პირობაში მოცემული დებულება, მსჯელობისას უნდა გამოიყენოს შესწავლილი ლიტერატურული მასალა.

საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

საგამოცდო ტესტში არ განმეორდება ამ კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო პროგრამა „ლიტერატურაში“ (არჩევითი გამოცდა)

I. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები:

დრამა, ეპოსი, ლირიკა;

პოეზია, პროზა;

ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი;

აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი;

დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა;

ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი;

ალეგორია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა;

მხატვრული ენა, მხატვრული სახე.

II. ლიტერატურული პროცესის ძირითად ეტაპები:

სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.

III. ქართული ლიტერატურა:

1 იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“.

2 იოვანე საბანისძე – „აბო თბილელის წამება“.

3 გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).

4 შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.

5 სულხან-საბა ორბელიანი – „სიბრძნე-სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი; იგავ-არაკები: „მეფე ხორასანისა“, „ძუნწი დიდვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.

6 დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“ (ბოლო ექვსი სტროფი), „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მონყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.

7 ალექსანდრე ჭავჭავაძე – ლექსი „გოგჩა“.

8 გრიგოლ ორბელიანი – ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.

9 ნიკოლოზ ბარათაშვილი – ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „რად ჰყვედრი კაცსა...“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.

10 ილია ჭავჭავაძე – ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პოეტი“, „ჩემო კალამო“, „პასუხის პასუხი“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“.

11 აკაკი წერეთელი – ლექსები: „განთიადი“, „პოეტი“, „ქებათა ქება (სხვებმან სვან ღვინო...)“, „აღმართ-აღმართ“; პოემა „გამზრდელი“.

12 ალექსანდრე ყაზბეგი – მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

13 ვაჟა-ფშაველა – ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „სოფლისა წესი ასეა“, „ღამე მთაში“, „ბევრი ვიფიქრე ძალიან...“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

14 დავით კლდიაშვილი – მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

15 ნიკო ლორთქიფანიძე – მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.

16 კონსტანტინე გამსახურდია – რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

17 მიხეილ ჯავახიშვილი – რომანი „ჯაყოს ხიზნები“.

18 პოლიკარპე კაკაბაძე – პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).

19 გალაკტიონ ტაბიძე – ლექსები: „მშობლიური ეფემერა“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“.

20 ტიციან ტაბიძე – ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.

21 პაოლო იაშვილი – ლექსი „პოეზია“.

22 გიორგი ლეონიძე – ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“.

23 გურამ რჩეულიშვილი – მოთხრობა „ალავერდობა“.

24 ანა კალანდაძე – ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.

25 ჯემალ ქარჩხაძე – მოთხრობა „იგი“.

26 გურამ დოჩანაშვილი – მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

მისაღები გამოცდების მოთხოვნები

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

საგამოცდო პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სიუჟეტები (მოვლენები, ფაქტები და მათი თანამიმდევრობა);

ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ.);

ტექსტში აღწერილ მოვლენათა ისტორიული კონტექსტი, ტოპონიმები (გეოგრაფიული სახელები);

მწერალთა ბიოგრაფიების ძირითადი მომენტები.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;

ენობრივი კონსტრუქციების სწორად აგება და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა;

სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შედგენა;

მხატვრულ ტექსტთა ლექსიკის გაგება;

ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;

ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;

არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;

ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;

ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;

მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;

ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

არგუმენტირების უნარი;

საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;

კითხვაში (დავალებაში) მინიშნებული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან გაიგივების (იდენტიფიცირების) უნარი;

ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;

დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;

წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

გთავაზობთ 2012 წლის ლიტერატურის გამოცდაზე გამოყენებულ ტესტს შეფასების სქემითურთ:

ტესტი ლიტერატურაში

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. წერითი დავალება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

პასუხების ფურცელში წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის გამოყოფილი ადგილები.

შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა. შეგიძლიათ თხზულებები ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, ხოლო შემდეგ გადაათეთროთ.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.
გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(3) 1. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.
1. რის შემდეგ გადაწყვიტა გრიგოლმა, რომ უარი ეთქვა ხორციელ პატივზე და ბერად აღკვეცილიყო?
2. საქართველოს რომელი კუთხისაკენ გაეშურა გრიგოლი მონასტრების ასაგებად?
3. რატომ აირჩია გრიგოლმა ეკლესია-მონასტრების ასაგებად სწორედ ეს მხარე?

(4) 2. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი.
1. რა ინფორმაციას გვაწვდის ავტორი საკუთარი ვინაობის შესახებ? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
2. კონკრეტულად რას ამბობს ავტორი ამ პოემის წარმომავლობის შესახებ? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
3. რის საფუძველზე ჩამოყალიბდა აზრი, რომ ეს პოემა თამარ მეფეს ეძღვნება? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
4. განმარტეთ სტრიქონი: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

(2) 3. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“.
1. რა თვისების წყალობით დაიცავს თავს ლეონი მეფის რისხვისაგან?
2. ფინეზის რა თვისება ვლინდება იმ დროს, როდესაც ხელწერილის წარდგენის შემდეგ იგი აღარ დასჯის აღმზრდელს?

(3) 4. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“.
1. რა იყო, ავტორის აზრით, ქართლ-კახეთის დაუძლურების უპირველესი მიზეზი?
2. რა შედეგი მოჰყვა ქართლ-კახეთის დაუძლურებას? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).
3. რას შეადარა ავტორმა მეფე ვახტანგის გარდაცვალება? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).

(3) 5. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“.
1. რამ განაპირობა აღა-მაჰმად-ხანის ლაშქართან ქართველთა საბოლოო მარცხი?
2. რის საფუძველზე შეიძლება იმის თქმა, რომ ერეკლესა და სოლომონის დიალოგი ავტორის წარმოსახვის ნაყოფია და რეალურად ასე არ შეიძლებოდა წარმართულიყო?
3. პოემის ფინალში ავტორი წერს:

„სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი,
მაგრამ ამაო იყო ყოველი“.

რატომ იყო ყოველივე ამაო?

→ 4

(3) 6. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“.
1. რამ განაპირობა ის, რომ მწყემსი ქალი ბერის სენაკში მოხვდა?
2. ვინ ეგონა ბერს მწყემსი ქალი თავდაპირველად?
3. კონკრეტულად რა უკვირდა ბერის ცხოვრების შემხედვარე მწყემს ქალს? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც).

(3) 7. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.
1. რატომ არ მოკლა ბათუმ საფარ-ბეგი?
2. საფარ-ბეგის რა საქციელი ცხადყოფს, რომ იგი ჩადენილ დანაშაულს ინანიებს?
3. რა თვალსაზრისით ემსგავსება ერთმანეთს ბათუს გადაწყვეტილება და ჰაჯიუსების განაჩენი?

(3) 8. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.
1. რატომ შესთავაზა ჯოყოლამ ნანადირევის გაყოფა შემთხვევით შეხვედრილ ხევსურს?
2. რატომ არ შეიმჩნია ჯოყოლას სახლში მყოფმა ქისტმა ის, რომ ზვიადაური იცნო?
3. რამ განაპირობა ჯოყოლას დაპირისპირება თემთან?

(3) 9. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
1. როგორ მოხვდა პლატონი დაუპატიჟებლად შაფათაძის ქორწილში?
2. რატომ იყო უარზე პლატონი ქორწილის მეორე დღეს მასპინძლის ოჯახში მისულიყო?
3. კირილეს ხასიათის რა თვისება ჩანს შაფათაძეების ქორწილის ეპიზოდში?

(3) 10. გაიხსენეთ მეფე გიორგი პირველის მონოლოგი რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“.
1. რაში ადანაშაულებს საკუთარ თავს მეფე გიორგი სიკვდილის წინ?
2. რაში ადანაშაულებს გიორგი პირველი ქართველ თავადებსა და ერისთავებს?
3. რა არის, გიორგი მეფის აზრით, ქართველი ერის მთავარი ნაკლი?

II. წერითი დავალება

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ უილიამ შექსპირის სონეტი:
ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა, რადგან
სიცრუე ერთგულების გახდა თვისება, რადგან
უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა, რადგან
მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

(ინგლისური ენიდან თარგმნა რეზო თაბუკაშვილმა).

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი არ სწორდება.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“:

მწერალთა ყრილობა ჯერ არ დამთავრებულიყო, დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხი ამოეწურათ, მაგრამ 24 თებერვლისათვის მაინც შემოენახათ რაღაც... დაინიშნა არჩევნები, მიიღეს გადაწყვეტილებები, თავმჯდომარემ ყრილობა დახურულად გამოაცხადა. დასაშლელად მზად იყვნენ, როდესაც ერთმა ახალგაზრდა კომუნისტმა პოეტმა სიტყვა ითხოვა. დარბაზში მოძრაობა შეწყდა. პოეტმა დამსწრეებს აცნობა: ხვალ საქართველოს გასაბჭოების დღეა, ამ საღამოს ტფილისის საბჭო ზეიმით აღნიშნავს ღირსსახსოვარ დღეს და მწერალთა დელეგაციის მილოცვას მოელისო. მთელს დარბაზს შეშფოთებისა და გაწბილების ტალღამ გადაუარა ერთბაშად. ყველასათვის ცხადი გახდა, რატომ გაწელეს ყრილობა 24-მდე. ქართველი მწერლები ლოიალურად იყვნენ განწყობილი საბჭოების მიმართ, – ეს ლოიალობა ყრილობაზეც დადასტურდა – მაგრამ 25 თებერვალი არ უყვარდათ. საქართველო გასაბჭოდა არა შინაგანი გადატრიალებით, არამედ – და ეს განასხვავებდა რუსეთისაგან – ძალდატანებით: ბოლშევიკური მე-11 არმიის მიერ. დამარცხებულმა საქართველომ საბჭოთა სისტემა მიიღო. მართალია, ქართველ მწერლებს ძალიან არც მანამდელი მთავრობა უყვარდათ, – განსაკუთრებით დამარცხების შემდეგ – მაგრამ დამარცხება მაინც დამარცხება იყო, ეროვნული ტკივილი. თითქოს გულში ეკალი შეესოო, ყველა მოღუშული იდგა და უხალისოდ იცდიდა. „აირჩიეთ დელეგაცია!“ დაიძახა ერთმა. „რამდენი კაცი?“ „თორმეტი“. არჩევას შეუდგნენ. დელეგაციაში ყველაზე გამოჩენილი მწერლები უნდა შეეყვანათ. ვინც ასეთთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ამ წუთს ძალიან ხარობდა. არჩეულთა შორის მოხვდა თამაზიც... დელეგაცია ოპერის თეატრისკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. დადამბლავებულებივით დგამდნენ ნაბიჯებს, თეატრს მიუახლოვდნენ. ახალი კითხვა წამოიჭრა: ვინ გამოვიდოდა სიტყვით? ყველა უარს ამბობდა, რას აღარ იმიზეზებდნენ... ამასობაში ცნობა მოვიდა, ერთ ლოჟაში სტუმრები – უცხოელი ჟურნალისტები – სხედან და სასურველია, რომელიმე დელეგატი მათ უცხო ენაზე მიესალმოსო... ყველამ თამაზი დაასახელა, რადგან ყველაზე უკეთ იცოდა ფრანგული... თამაზი ამაზე დათანხმდა: გუნება გაუფუჭდა, მაგრამ კამათი არ დაუწყია.

სცენაზე ავიდნენ... თამაზს საფეთქლები აეწვა, რაღაც უცხოთი აივსო. მის წინ ღონიერი, დაჩაგრული, პირქუში მუშის სურათი გაჩნდა, რომლის სოციალური ბორკილების დალეწვა მხოლოდ რევოლუციას შეეძლო. როგორ? ამაზე თამაზი ახლა არ ფიქრობდა. ახლა მის წინ რევოლუციის ნება აღმართულიყო, მონობის განადგურებით გამობრძმედილი. ათას თვალს, ათას ტვინს, უამრავ ნერვს, მთელს დარბაზს ეს ნება მართავდა. თამაზმა ცხადად იგრძნო ეს თვალები, ტვინები, ნერვები: სხეულში რაღაც უცხო ძალამ დაუარა... ჯერ ფრანგულად მიესალმა სტუმრებს. ტაში დაუკრეს. თამაზს ძალა მოემატა, ქართულზე გადავიდა. ახლა მეტი დამაჯერებლობა შეიძინა მისმა სიტყვამ. არ სურდა საქართველოს გასაბჭოებას შეეხებოდა; ეს რომ შესამჩნევი არ გამხდარიყო, ევროპელი სტუმრების მისალმება სასწრაფოდ კაპიტალისტურ, დაძაბუნებულ სამყაროზე თავდასხმისთვის გამოიყენა. სიტყვამ უცნაურად გაიტაცა... სიტყვა „ოქტომბრის“ დასახელებას თავი აარიდა, სამაგიეროდ, უფრო მეტად გამოჰყო „რევოლუცია“. ისე შორს წავიდა, მსოფლიოს განახლებისათვის „სისხლის გამოშვებაც“ კი საჭიროდ ჩათვალა. ექსტაზი თავისით იზრდებოდა, მის დაუხმარებლად. უცხო ტალღები ასკდებოდნენ, ათრობდნენ; ამ ტალღების მოვარდნაში უფსკრულის სიახლოვე იგრძნო. ათასი თვალი, ათასი ტვინი, უამრავი ნერვი – ურჩხულის საავდრო სუნთქვად შეგუბებული – მას უმზერდა, ეხებოდა, მართავდა. ხარბად შეისრუტა ეს ცხელი სუნთქვა, ძალა შეემატა, გაბრუვდა, თითქოს ფრთები გამოესხა. ურჩხული-მაყურებელი დოღის ცხენივით იყო, მხედრის ძალას გრძნობდა, ბატონის ყოველ მოძრაობას, ყოველ რხევას წინასწარ ხვდებოდა. ახლა ერთი სხეული, ერთი ნება იყო ორივე. ვნებით დამთვრალი თამაზი მედიდურად უახლოვდებოდა უფსკრულს. საზღვრები წაშლილიყო.

ბევრი მოაჯადოვა მისმა სიტყვამ, მაგრამ თვითონ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გველი გადაეყლაპოს, გული ერეოდა. მარტო დარჩენა ზარავდა... კიდევ კარგი, ზეიმის შემდეგ ბანკეტი იყო დანიშნული...

ბანკეტი ღამის ოთხ საათზე დამთავრდა. თამაზი შინ წავიდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა... დაღლილმა, მისუსტებულმა და ნაცემმა ბოლოს ჩაიძინა, მაგრამ მისი ძილი ძილღვიძილი იყო მხოლოდ...

თამაზი ადგა, ქანცგამოლეული, დათრგუნული. გაზეთებში მთელი მისი გამოსვლა გადმოებეჭდათ, ზოგი ადგილი უფრო გაემკვეთრებინათ. კორესპონდენტს სიტყვასიტყვით გაეგო მისი ნათქვამი „სისხლის გამოშვება“. გპუ-ს არ უყვარს მეტაფორები. თამაზმა წაიკითხა სიტყვა, გუნება გაუფუჭდა. გადაწყვიტა კინოატელიეში წასულიყო სამუშაოდ. ერთ-ერთ მოსახვევში ბიძინა შემოხვდა, თორმეტი წლის ბიჭი, მისი პატარა მეგობარი.

„გამარჯობა, ბიძინა“, თავი დაუქნია პატარას.

ბიჭი მოიღუშა, უკან დაიხია.

„რა მოგვიდა?“, გაკვირვებით ჰკითხა თამაზმა.

ბიჭს არც ახლა უპასუხია, მარჯვენა ნეკზე იკბინა მხოლოდ.

„რა მოხდა?“, არ მოეშვა თამაზი.

ბიჭს ოდნავ გაეხსნა მოღუშული სახე, მაგრამ უეცრად ცრემლები მოადგა თვალებზე. სასწრაფოდ სირბილით გაშორდა.

„ბიძინა, ბიძინა, ბიძინა“, ყვიროდა თამაზი. ბიძინას არ მოუხედია.

ახლა ცხადი გახდა თამაზისთვის: ბიჭის სახლშიც იღებენ გაზეთს; ბიძინამ, რომლის მამაც ორი კვირის წინ სიკვდილით დასაჯეს, ჩანს, თამაზის სიტყვა წაიკითხა – „სისხლის გამოშვება“ ლახვარივით მოხვდებოდა მის გულს. ახლა თვითონ თამაზს ჩაუდგა ცრემლი თვალებში. ბიჭს რომ სცოდნოდა, რა ტკივილი გუბდებოდა თამაზის მკერდში! ვინ მიხვდებოდა ამ ტკივილს? ბიჭიც კი ვერა. თამაზი სიცოცხლეს წყევლიდა.

თავი ასწია. შორს მცხეთის არემარე დაინახა, უფრო შორს კავკასიონის გოლიათური მთები. თავისი მთები გაახსენდა: თეთნულდ და უშბა. შემდეგ თავისი უცოდველი სიყმაწვილე მოაგონდა... ახლა კი? მთელი სხეული თითქოს გველს დაეკბინა. გალურჯებულ ბაგეებზე შეაკვდა ვედრება: „იქნებ თქვენ მიშველოთ, მთებო!“ მარცხენა ხელით ცრემლი მოიწმინდა.

(გერმანული ენიდან თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ).

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

იმსჯელეთ უილიამ შექსპირის ლექსში ასახული პრობლემის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრული საშუალებებით გამოხატავს ავტორი სათქმელს);

იმსჯელეთ თამაზის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ პერსონაჟის შინაგან გაორებას);

იმსჯელეთ, რა არის საერთო ამ ტექსტებს შორის და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს:

„დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა. არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა...“

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

თქვენ მიერ შესწავლილი მხატვრული ლიტერატურიდან მოიყვანეთ ერთი ან რამდენიმე არგუმენტი მოცემული მოსაზრების გასამყარებლად ან უარსაყოფად.

იმსჯელეთ თქვენ მიერ დასახელებული ნაწარმოების მხატვრული ღირსებების შესახებ.

ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ახსენით, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ილია ჭავჭავაძის მოცემულ თვალსაზრისს).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის:

6IV VVთ

დავალებები 1-10

ზოგადი ინსტრუქცია:

ქვემოთ წარმოდგენილია სწორი პასუხების შესაძლო ვარიანტები თითოეული კითხვისათვის. არ არის აუცილებელი, რომ აბიტურიენტის პასუხები ზუსტად, სიტყვასიტყვით იმეორებდეს ჩვენ მიერ შეთავაზებულს. მთავარია, მან გადმოსცეს ის ძირითადი აზრი, რომელიც შეფასების სქემაშია ჩამოყალიბებული.

თითოეული კითხვის პასუხი შეიძლება გადმოცემული იყოს ერთი სიტყვით, ფრაზით ან წინადადებით. აბიტურიენტის მიერ გაცემული პასუხი შესაძლებელია იყოს უფრო ვრცელიც და შედგებოდეს ორი ან მეტი წინადადებისაგან.

1. (3)

1 ქულა:

1. მას შემდეგ, რაც (როდესაც) მისი ეპისკოპოსად კურთხევა გადაწყვიტეს. / როდესაც

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

ეპისკოპოსად კურთხევა დაუპირეს. / როდესაც აღმზრდელებმა გრიგოლ ხანძთელის ეპისკოპოსად კურთხევა დააპირეს, მან გადაწყვიტა, უარი ეთქვა ხორციელ პატივზე და ბერად აღკვეცილიყო.

1 ქულა:
2. ტაო-კლარჯეთისკენ (კლარჯეთისკენ). / სამხრეთ საქართველოსკენ. / გრიგოლი მონასტრების ასაგებად გაეშურა ტაო-კლარჯეთისკენ.

1 ქულა:
3. ღვთის ნებით. / აირჩია იმიტომ, რომ ეს მხარე იმხანად არაბი დამპყრობლებისგან თავისუფალი იყო.

2. (4)
1 ქულა:
1. „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში ავტორი ამგვარად გვამცნობს თავის ვინაობას: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე...“, / „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“. შეუძლია პასუხად გამოიყენოს ერთი ან ორივე ციტატა ან მისი/მათი პერიფრაზი.

1 ქულა:
2. მან პოემას საფუძვლად დაუდო სპარსული სიუჟეტი. / ამ პოემის წარმომავლობის შესახებ ავტორი ამბობს, რომ გალექსა სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი. / შეუძლია პასუხად გამოიყენოს შესაბამისი ციტატა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები.“

1 ქულა:
3. იმის საფუძველზე, რომ პროლოგში რუსთველი ახსენებს თამარს, / აქებს მის სილამაზეს, / უწოდებს „ხელ-მქმნელს“. / „ვეფხისტყაოსანში“ შექებულია თამარი. / შეუძლია ვრცლად უპასუხოს: თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეს პოემა თამარ მეფეს ეძღვნება, ჩამოყალიბდა პოემის პროლოგის შემდეგი სტრიქონის/სტრიქონების საფუძველზე: „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“, „...მეფისა მზის თამარისა...“ / შეუძლია პასუხად გამოიყენოს მხოლოდ მოყვანილი ციტატა/ციტატები.

1 ქულა:
4. ჭეშმარიტი პოეტი არაა ის, ვისაც ვრცელი/ეპიკური ნაწარმოებების წერა არ შეუძლია. / რუსთველი ჭეშმარიტ პოეტად არ მიიჩნევს მას, ვისაც არ შეუძლია სათქმელის ვრცლად, „გრძელად“ გადმოცემა. / რუსთველი უპირატესობას ანიჭებს ვრცელი ეპიკური ჟანრის ნაწარმოებებს.

3. (2)
1 ქულა:
1. ლეონი თავს დაიცავს მეფის რისხვისაგან წინდახედულების / გონიერების / სიფრთხილის... წყალობით.

1 ქულა:
2. ამ ეპიზოდში ვლინდება მეფის გონიერება / კეთილშობილება / დიდსულოვნება / ზნეობრიობა / პირის გაუტეხლობა / პრინციპულობა / სიბრძნე...

4. (3)
1 ქულა:
1. მუდმივი შუღლი. / ქართლ-კახეთის დაუძლურების უპირველესი მიზეზი იყო გამუდმებული შუღლი და მტრობა. / ღვთის რწმენის დაკარგვა. / ურწმუნოება, ცოდვათა გამრავლება.

1 ქულა:
2. განადგურება. / აოხრება. / გაჩანაგება. / შეუძლია პასუხად გამოიყენოს შემდეგი ციტატა/ციტატები ან მისი/მათი პერიფრაზი: „ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი ლეკთა მოლამა“, „ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს“, „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“.

1 ქულა:
3. მეფე ვახტანგის გარდაცვალება ავტორმა შეადარა სახლის დედაბოძის წაქცევას („ვაი, რა ბოძი წაიქცა...“).

5. (3)
1 ქულა:
1. ღალატმა. / ქართველთა ღალატმა. / ქართველთა შორის გამოჩნდა მოღალატე, „იუდა“, რომელმაც აღა-მაჰმად-ხანს შეატყობინა ქართველთა ჯარის მცირერიცხოვნობის ამბავი, / ციხის კარი გაუღო.

1 ქულა:
2. მისაღებია ყველა პასუხი, რომლებშიც ადეკვატურად არის გააზრებული ისტორიული კონტექსტი, მაგალითად: ქართლ-კახეთზე აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის დროს გეორგიევსკის ტრაქტატი უკვე დადებული იყო. / ერეკლესა და სოლომონის დიალოგი შეიძლებოდა გამართულიყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე და არა 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოზე გალაშქრებისას, როდესაც საქართველო უკვე იმყოფებოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

1 ქულა:
3. ერეკლეს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. / იმიტომ, რომ ერეკლეს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება ქართლის ბედთან დაკავშირებით. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატაც: „დიდი ხანია გულს ირაკლისა გარდუწყვეტია ბედი ქართლისა...“

6. (3)
1 ქულა:
1. მან ავდრის დროს თავშესაფარი ითხოვა. / ავდარი (დელგმა) იყო და გზა დაებნა. / ავდრის დროს ჯაჭვს წააწყდა, გაახსენდა მამის ნაამბობი და თავშესაფარი ითხოვა.

1 ქულა:
2. ავი სული / ეშმაკეული...

1 ქულა:
3. მწყემს ქალს უკვირდა, თუ როგორ შეძლო ბერმა წუთისოფლის / ოჯახის / ახლობლების დატოვება. / უკვირდა, როგორ ძლებდა ბერი „ყინულებში“ მარტო. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატა/ციტატები: „ან შენ როგორ ძლებ უწუთისოფლოდ...“, „...ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა“. / უკვირდა, ნუთუ ხსნის სხვა გზა არ არსებობდა...

7. (3)
1 ქულა:
1. მისი ძიძიშვილი (ძუძუმტე) იყო. / დედამისის გაზრდილი იყო. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატა: „დედიჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია“. / აპატია/შეუნდო, რადგან ძიძიშვილები იყვნენ. / ბათუმ არ მოკლა საფარ-ბეგი, რადგან მისი დანაშაულის განმსჯელად ჰაჯი-უსუბი (მისი გამზრდელი) ეგულებოდა. / ბათუს მიაჩნდა, რომ საფარ-ბეგს სიკვდილამდე სინდისი დატანჯავდა. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატა: „...რომ გასტეხე, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესად“.

1 ქულა:
2. მისი მზადყოფნა სიკვდილისთვის. / საფარ-ბეგი სთხოვს ბათუს, მოკლას იგი. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატა/ციტატები: „სასიკვდილოდ ჩემი ნებით შენ წინ თავი დამიხრია...“, „ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს...“ / საფარ-ბეგი გამზრდელთან აღიარებს დანაშაულს („ეუბნება ყოველიფერს, უნებურად რაც შეემთხვა...“). / საფარ-ბეგი ჰაჯი-უსუბს(აც) „მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს“.

1 ქულა:
3. ორივემ უფრო მეტი ტანჯვისთვის/სინდისის ქენჯნისთვის გაიმეტა საფარ-ბეგი. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატაც: „...რომ გასტეხე, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესად“. / ორივემ დანაშაულის მონანიების შესაძლებლობა მისცა საფარ-ბეგს.

8. (3)
1 ქულა:
1. შეებრალა ხევსური, რომელსაც ვერაფერი მოენადირებინა. / მთის ტრადიციის თანახმად, მონადირეები ერთმანეთს ნანადირევს უყოფდნენ.

1 ქულა:
2. პატივს სცემდა მასპინძლის ოჯახს. / სტუმარმასპინძლობის წესს იცავდა.

1 ქულა:
3. ჯოყოლამ დაიცვა თავისი სტუმარი. / დაიცვა საკუთარი/თავისი ოჯახის ღირსება. / სტუმარმასპინძლობის წესი დაიცვა. / არ შეასრულა თემის გადაწყვეტილება. / არ გადასცა ქისტებს ზვიადაური დასასჯელად/მოსაკლავად.

9. (3)
1 ქულა:
1. კირილემ დაიყოლია. / კირილემ წაიყვანა. / კირილემ სთხოვა პლატონს, წაჰყოლოდა შაფათაძის ქორწილში.

1 ქულა:
2. კირილემ წინა დღით იჩხუბა. / პლატონს ერიდებოდა/რცხვენოდა მასპინძლებისა, რადგან წინა დღით კირილემ ქორწილში იჩხუბა, / აყალმაყალი ატეხა, / თანაც თავისი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი.

1 ქულა:
3. შაფათაძეების ქორწილის ეპიზოდში ჩანს კირილეს სიფიცხე / თავშეუკავებლობა / ჭირვეულობა / ცუდი ხასიათი / კონფლიქტურობა.

10. (3)
1 ქულა:
1. მეფე გიორგი სიკვდილის წინ თავს იდანაშაულებს მრავალი ცოდვის ჩადენაში. / იმაში, რომ მან სიმთვრალეში ფხოველებს მოაკვლევინა თავისი დეიდაშვილი, გირშელი. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატაც/ციტატებიც: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად...“, „ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც“...

1 ქულა:
2. გიორგი ქართველ თავადებსა და ერისთავებს ადანაშაულებს იმაში, რომ ისინი მუდმივად ღალატობდნენ სამშობლოს. / ფეხქვეშ ეგებოდნენ ბიზანტიელებს (და არაბებს). / იმაში, რომ მას ბასიანთან აზნაურებმა უღალატეს. / იმაში, რომ მუდამ ერთმანეთს ექიშპებოდნენ. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატა/ციტატები: „ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს...“, „ბასიანთან აზნაურებს რომ არ ეღალატნათ...“, „დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ...“, „მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები...“

1 ქულა:
3. ქართველები მუდამ მტრობდნენ / არ აფასებდნენ გამორჩეულ/„დიდ“ ადამიანებს. / ქართველები ყოველთვის სხვა ერებს ბაძავდნენ. / ქართველები „უცხოს“ უფრო აღიარებენ, ვიდრე საკუთარს. / შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი ციტატები: „მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ...“, „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს...“

წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები

ორივე წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, დავალების პირობა ან/და ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
I	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და ტექსტის სიღრმისეული გააზრება.	4
II	ნაშრომის აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების პირობის სამივე მითითების შესრულება, მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	3
III	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო ტექსტური მასალით.	6
IV	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ნაშრომში უნდა გამოიყოს ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა უნდა დასაბუთდეს სათანადო მაგალითებით.	2
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, ზოგადი განათლება.	3
VI	ფაქტობრივი შეცდომები	ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	1
VII	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად იყოს გამართული.	2
VIII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	2
IX	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	2

→ 6

ერთიანი ეროვნული გამოცდები - 2013

I კრიტერიუმი		
№	**დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება**	**ქულები**
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	1
5.	დავალების პირობა ან/და ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი		
№	**ნაშრომის აგება**	**ქულები**
1.	ნაშრომი უპასუხებს სამივე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. (დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული).	3
2.	ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი		
№	**მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება**	**ქულები**
1.	მსჯელობა სამივე მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა ორი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა ორი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა ერთი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ორ მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა ერთი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, მეორე მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	სამივე მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	ორი მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ერთი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ერთი მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი		
№	**ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება**	**ქულები**
1.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის არაერთი მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის ერთი მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	1
3.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	0

V კრიტერიუმი		
№	**დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება**	**ქულები**
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა არ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ან ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა არ გამოვლინდა არც დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არც ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი		
№	**ფაქტობრივი შეცდომები**	**ქულები**
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი		
№	**ლექსიკა და სტილი**	**ქულები**
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
3.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი		
№	**სინტაქსური კონსტრუქციები**	**ქულები**
1.	ნაშრომში დაშვებულია ერთი სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია ორი სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია ორზე მეტი სინტაქსური შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი		
№	**მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია**	**ქულები**
1.	არ არის ოთხზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის ცხრაზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ცხრაზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

ინფორმაცია

* * *

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **მაია მიმინოშვილმა** განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

ცენტრის ხელმძღვანელმა შეხვედრაზე ყოველ მათგანთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტთან დაკავშირებით და წინასწარ გააცნობს დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გამოცდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიახლეს.

მაია მიმინოშვილმა შეხვედრაზე იმ სიახლეებზე ისაუბრა, რომელიც მისაღები, სამაგისტრო და საატესტატო გამოცდების ჩატარებაშია დაგეგმილი და ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა აქტუალურ შეკითხვას გასცა პასუხი.

ინფორმაცია

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობის დაკავების მიზნით.

კონკურსი ცხადდება საქართველოს ყველა იმ რეგიონში, სადაც რესურსცენტრს ჰყავს ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. სამინისტროს ვებგვერდი – www.mes.gov.ge

თანამდებობრივი სარგო: 1,030

საკონკურსო პირობები:

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I. განაცხადების გადარჩევა;
II. ტესტირება;
III. გასაუბრება.

კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნები

კონკურსში მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა იმ პირისთვის, რომელიც აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნებს.

სავალდებულო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება;
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება – არანაკლებ 2 წელი;
- სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა;
- კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების სრულყოფილად ცოდნა (Windows Office: Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
- ასაკი: 21 წლიდან – საპენსიო ასაკამდე;
- კომუნიკაბელურობა, მოლაპარაკებების წარმართვის გამოცდილება, კონფლიქტების მართვის უნარი, მუშაობა ჯგუფში და ჯგუფთან;
- საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები, საკუთარი შეხედულებების დასაბუთებისა და დაცვის უნარი.

ნორმატიული აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2011 წლის 11 მარტს №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა;
- „კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

დამატებითი მოთხოვნები: სასურველია
- უცხოური (ინგლისური, რუსული) ენის ცოდნა;
- საოფისე პროგრამა „Access“;
- ადამიანური რესურსების/გუნდის მართვის გამოცდილება.

სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა:
- Curriculum Vitae (CV);
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა

განაცხადი უნდა გააკეთონ ვებგვერდზე – www.hr.gov.ge, მიმდინარე წლის **18 იანვრიდან 5 თებერვლის** ჩათვლით. ტესტირების თარიღი და ადგილი გამოქვეყნდება მიმდინარე წლის **7 თებერვლიდან** განათლების და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე – www.mes.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52. ტელეფონი: 231 89 40

• **კონკურსი იწარმოებს სამ ეტაპად** – განაცხადების გადარჩევა, ტესტირება და გასაუბრება. დავუკავშირდებით მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სოფელ მიქელეფონში გაუქმებული სკოლა აღდგა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე** და საქართველოს პარლამენტის წევრი **დავით ლორთქიფანიძე** ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელეფონის საჯარო სკოლას ესტუმრნენ. 2012 წლის დეკემბერში დეოპტიმიზაციის შედეგად სკოლას ძველი სტატუსი დაუბრუნდა და ამავე რაიონის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლას გამოეყო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2011 წელს, სოფელ მიქელეფონის საჯარო სკოლა სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლას მიუერთდა, ეს უკანასკნელი სოფელ მიქელეფონის სკოლიდან 2 კმ-ში მდებარეობს.

მიქელეფონი მთაგორიანი სოფელია, რთული რელიეფით და მკაცრი კლიმატური პირობებით. აღსანიშნავია, რომ მიქელეფონში სასწავლებლად, 5-6 კმ-ის მანძილიდან, სოფელ კუშუბოურის და სხვა ახლომდებარე სოფლების მოსწავლეებიც დადიოდნენ. გაერთიანების შედეგად, ამ სოფლის მოსწავლეებს დამატებით ორი კილომეტრის გავლა უხდებოდათ, ზამთარში კი, საერთოდ შეუძლებელი იყო სკოლამდე მისვლა და უკან დაბრუნება. ეს პრობლემა სოფლიდან მიგრაციის მიზეზი გახდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა მოსახლეობის თხოვნა ზემოაღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით და, მინისტრის 2012 წლის 24 დეკემბრის №252/ნ ბრძანების საფუძველზე, ამ ორი სკოლის დეოპტიმიზაცია განახორციელა.

ამჟამად სოფელ მიქელეფონის საჯარო სკოლაში სწავლის სურვილი 39-მა მოსწავლემ გამოთქვა და ამავე სკოლაში დასაქმდება 12 პედაგოგიც. სოფელ მიქელეფონის სკოლის ბაზა ნორმალურ მდგომარეობაშია და სკოლის ხელმძღვანელობა მზად არის სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად.

პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის „ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა პროფესიული განათლების სექტორში“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სამინისტროს, სააგენტოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, დონორი ორგანიზაციებისა და სოციალური პარტნიორების წარმომადგენლები შედიან.

ახალი სტრატეგია 2009-2012 წლების სტრატეგიის მიღწევებს დაეფუძნება და იმ გამოწვევებს გაითვალისწინებს, რაც საქართველოსა და თანამედროვე მსოფლიოში პროფესიული განათლების მიმართულებით არსებობს.

შეხვედრაზე, რომელშიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** მონაწილეობდა, განხილული იყო საქართველოს პროფესიული განათლების მიღწევები, გამოწვევები და წარმოდგენილი იყო მომავალი წლების შესაძლო პრიორიტეტები.

შეხვედრის ფარგლებში, დოკუმენტის შესამუშავებლად დაისახა კონკრეტული ამოცანები და ვადები. მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ აუცილებელია გაიზარდოს პროფესიული განათლების ხარისხი, ხელმისაწვდომობა, მიმზიდველობა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

სამუშაო ჯგუფი, ვიწრო და გაფართოებული შემადგენლობით, ყოველკვირეულად შეიკრიბება და, სტრატეგიის დოკუმენტში ასახვის მიზნით, აღნიშნულ პრიორიტეტებს დეტალურად განიხილავს.

კვალი ნათელი

მოწოდებით პედაგოგი

2012 წლის 16 დეკემბერს გარდაიცვალა ერთ-ერთი უნიჭიერესი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი **ციალა გრიგორის ასული გუშჩიანი**.

ცხოვრება ყოველთვის არ არის სამართლიანი. ბევრია ისეთი მასწავლებელი, რომლის გამოცდილება ფართო პოპულარიზაციის ღირსია, მაგრამ ისე მიდის დამსახურებულ პენსიაზე ან ცხოვრებიდან, რომ არ დაფასებულა მისი შრომა დამსახურებული ჯილდოთი. საბედნიეროდ, უსამართლობა არ შეეხო ციალა გრიგორის ასულ გუშჩიანს. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა დროულად იქნა შემჩნეული და აღნიშნული ტიტულებითა და ჯილდოებით. იგი იყო უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი-მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სამჯერ გამარჯვებული კონკურსისა „წლის საუკეთესო მასწავლებელი“, პედაგოგთა მეხუთე და მეექვსე ყრილობების დელეგატი, მისი გამოცდილება განზოგადებულია თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის მიერ (იხილეთ ჟურნალი „რუსული ენა ქართულ სკოლაში“, 1987 წ., №4, ნ.ს. გელეყვა, „ძებნა გრძელდება“). საპატიო სიგელებს შორის, მისთვის ყველაზე ძვირფასი და საამაყო იყო საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანის საპატიო სიგელი პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის, რომელიც ხელმოწერილია საბჭოთა კავშირის გმირის, ბ. პოლევოის წიგნის „Повесть о насто щем человеке“ გმირის მიერ და იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების საპატიო სიგელი. 127-ე სკოლაში საგანმანათლებლო კომპლექსის – მუზეუმი „ახალგაზრდა გვარდია“, რუსულ-ქართული ლიტერატურული თანამშრომლობის სალონი, რუსული ენის კაბინეტი – დაარსებისათვის დაჯილდოებული იყო სსრკ ВДНХ ოქროს მედლით.

ქალბატონმა ციალამ 48 წელი იმუშავა თბილისის 127-ე სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ბოლო წლებში ახერხებდა და ივიწყებდა ასაკს, ფიზიკურ დაღლილობას, მატერიალურ სირთულეებს, ცხოვრების უსიამოვნებებს, რადგან იცოდა, რომ მოსწავლეები ელოდებიან, საყვარელ ადამიანად მიიჩნევენ, მის რჩევებს ითვალისწინებენ. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შვილები არ ჰყავდა, თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევდა, ყოველი დილა იწყებოდა სიტყვებით – „გამარჯობა, ბავშვებო“, „გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო“. მათთან ურთიერთობით გრძნობდა, რომ იყო საჭირო, ხალხისთვის სარგებლის მომტანი. ქალბატონი ციალა მადლობას უხდიდა ბედს ნაჩუქარი სიხარულისათვის. გაკვეთილებს ისე ატარებდა, რომ ყველასთვის საინტერესო ყოფილიყო. დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეების მეტყველების განვითარებას, დიალოგის წარმართვის უნარს, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ყველასაგან, ვინც მას იცნობდა, მასთან მუშაობდა და ურთიერთობდა.

ციალა გუშიანი მოწოდებით პედაგოგი იყო. გონება, ნიჭი, ფართო განათლება, შესანიშნავი მეხსიერება, სწავლის მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნება – ასეთი იყო მისი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა.

ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქეები, 127-ე სკოლის 1960-99 წლების კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ასეთი მძიმე დანაკლისის გამო – ჩვენ მუდამ შევინახავთ ციალა გრიგორის ასული გუშჩიანის ხსოვნას.

ლიუდმილა დოლიძე
127-ე საშუალო სკოლის 1970 წლის კურსდამთავრებული

P.S. გამოვხატავ დიდ მადლიერებას იმ ხალხის მიმართ, ვინც გაიზიარა ქალბატონ ციალა გუშჩიანის მარტოობა, ეხმარებოდა ფიზიკურად, მორალურად და მატერიალურად, არ დატოვა იგი უბედურებაში, მოინახულებდა, ეუბნებოდა თბილ სიტყვებს. მათ შორის არიან: 127-ე სკოლის პედაგოგი და მისი მეგობარი ლია შარიქაძე, ტატიანა გერასიმოვიჩი, მანანა ჭკუასელი, ლია დოლიძე, მარიკა ენუქიძე, სვეტლანა ბოლოთაევა, ნინო ღავთაძე, ნელი ჯინჭარაძე, ასმათ შიხაშვილი, ლეილა გველესიანი, ნელი ბაკურაძე, ოლიკო რუხაძე;

1960-70-80 წლების 127-ე სკოლის კურსდამთავრებულები: კარინე მანუკიანი, ნანა ბიძინაშვილი, გურამ ბიძინაშვილი, მილა ხოშტარია, ნატალია ხოშტარია, სოფია მაჭარაძე, ნატაშა პეტრიაშვილი..;

მეგობრები: ამერიკაში მცხოვრები მიხეილ ბურშტეინის ოჯახი, რომელიც 20 წლის განმავლობაში მატერიალურად ეხმარებოდა ციალა გუშჩიანს; ვასილ თედეიშვილის ოჯახი, რომელიც 30 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა, იზიარებდა მის სიხარულსა და გაჭირვებას.

საგანმანათლებლო კერა

საუკუნოვანი სკოლის რთული გზა

ამ წერილს ვწერ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო, რომელიც რაჭაში უძველესი სკოლების არსებობას ეხებოდა, მაგრამ იქ არაფერი იყო ნათქვამი სოფელ ველევში სკოლის არსებობის შესახებ. ჩვენს სოფელში კი სკოლა XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაარსებულა. გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის 166-ე ნომრის მიხედვით, ერთკლასიანი სკოლები ყოფილა რაჭის შემდეგ სოფლებში: ნიკორწმინდაში, ხოტევში, ველევში, ამბროლაურში, სხვავაში, აბარში, ღებში, წესში, სადმელში, ზნაკვაში, ბუგეულში, ხვანჭკარასა და ბაჯში. ეს ინფორმაცია მომაწოდა გოგიტა ჩიტაიამ, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ძეგლთა დაცვის საკითხებში. იგი ველევის სკოლაში 1984-1989 წლებში მუშაობდა ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებლად.

სოფლის უხუცესთა გადმოცემით (ლადო გოგსაძე, სადიკო ენუქიძე, ვასილ მაცაბერიძე, აკაკი გორგიაშვილი, გრიგოლ და დიმიტრი საყვარელიძეები), ვიცი, რომ ველევში სკოლა XIX საუკუნის ბოლოს უკვე კარგა ხნის დაარსებული ყოფილა. ლადო გოგსაძის მოგონება:

„სკოლაში კი შემიყვანეს, მაგრამ სად მეცალა იქ სასიარულოდ, ხან ხარებს ვუძახი წინ ხვნისას და ხან მოსავალი იყო დასაბინავებელი. როცა მოვიცლიდი და თავისუფალ დროს გამოვნახავდი, მაშინ მივდიოდი სკოლაში. მასწავლებლად პეტრე მესხი იყო კვირიკეწმინდიდან. დიდებული პიროვნება. სასიამოვნო შესახედავი: მაღალი, გამხდარი, თეთრი თმითა და წვერით, უაღრესად განათლებული. დიდი პატივისცემით სარგებლოდა ჩვენს თემში. ყველა „პეტრე უჩიტელს“ ეძახდა, ღმერთმა აცხონოს ისიცა და ქრისტეფორე კვიტაშვილიც, მას გაუხსნია ჩვენს სოფელში სკოლა. მთავრობის კაცი ყოფილა დიდი დამსახურების, ქ. ონში (რაჭის ცენტრი იმ დროში) ნამუშევარა. ბევრი უბრძოლია ჩვენს სოფელში სკოლის დასაარსებლად. მთავრობაში რომ მოუგვარებია საქმე, მერე სახნავი მიწა – „ტბელაური“ მიუცია სოფლისათვის და იქ აუგიათ ხის დათლილი მორებისაგან შენობა, რომელსაც „ჯარგვალა“ სკოლას ვეძახდით“.

„ჯარგვალა“ სკოლა ჩემი კარ-მიდამოს მახლობლად იდგა, – იგონებდა ვასილ მაცაბერიძე, დაბადებული 1909 წელს – *კარგა მოზრდილი ვიყავი, როცა დაშალეს და დღევანდელი სკოლის ადგილას ამოიტანეს“.*

„კვიტაშვილები აზნაურები იყვნენ, ბატონები, განათლებულები და კარგი ხალხი, *სოფლისათვის ბევრი სასიკეთო საქმის გამკეთებლები,* – იგონებს ლადო გოგსაძე – *დიდი სკოლის გახსნაც ამ გვარის წარმომადგენლის მადლით მოხდა. გიორგი კვიტაშვილმა, სამხედრო პირი იყო ისიც, სკოლის შენობის აგებისთვისაც იზრუნა, თავისი მიწა აჩუქა სოფელს და, ხის შენობის ნაცვლად, ქვიტკირის შენობის მშენებლობა წამოიწყეს, რომელიც 1923-1925 წლებში დასრულდა. სკოლას ბერძენი კალატოზები აშენებდნენ, სოფელი მორიგეობით უზიდავდა საკვებს“.*

„ჩვენი რიგი რომ დადგა, ახალი გამოთხოვილი ვიყავი მაშინ, მამაჩემის ნაჩუქარი დეკეული გვყავდა და ის დავკალით, 2 ფუთი ღვინო და მისი პურ-მარილი მივიტანეთ“ – იგონებს სადიკო ენუქიძე-გოგსაძისა.

სადაც დღეს ველევის სკოლა დგას, იმ ადგილს ძველად სასახლეს ეძახდნენ. გადმოცემით, ეს ადგილი კვიტაშვილს მაჩაბელზე გათხოვილი ქალიშვილისათვის მიუცია მზითევში. სიძეს საზაფხულო რეზიდენცია გაუმართავს. აქ რომ ნამდვილად სასახლე მდგარა, ეს 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დანგრეული სკოლის შენობის მაგიერ ახლის ასაშენებლად მიწის მოსწორებისას დადასტურდა – გამოჩნდა ნანგრევები, მარნის ნაშთი, 10-ზე მეტი განივზოლიანი ქვევრი ჩამოიშალა გორის გადმოღებისას. საოცარ გრძნობას ბადებდა მიწის ჭრილიდან მომზირალი წარსულის ნაშთი. სამწუხაროდ, მაშინ სურათის გადაღების საშუალება არ იყო, რომ აღგვებეჭდა და შთამომავლობისათვის შემოგვენახა. ეკლესიის ქვებიც გადმოვიდა, სასახლეს კარის ეკლესიაც ჰქონია. ბებერი, ღრუიანი ცაცხვის არსებობასაც იხსენებდნენ გრიგოლ და დიმიტრი საყვარელიძეები. ფერდობზე, მიწიდან, მცირედ, რაღაც ნაგებობის ნაშთი ახლაც ჩანს.

არსებობის მანძილზე ველევის სკოლას საკმაოდ რთული გზა აქვს განვლილი: ორჯერ დამწვარა, პირველად 30-იან წლებში, მეორედ – 1970 წელს, ბოლოს 1991 წლის 28 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ დაანგრია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა მასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა ეკლესიის წინააღმდეგ, სოფლის აქტივისტებს ეკლესიისათვის თუნუქის სახურავი აუხდიათ და სკოლისათვის დაუფარებიათ, ხოლო სახურავის ცაცხვის ხის მასალისაგან მერხები გაუკეთებიათ. 1970 წელს ხანძრისაგან ყველაფერი განადგურებულა, თუნუქი სულ დამდნარა. როცა შენობა აღუდგენიათ, შენობისათვის სარტყელი მოუვლიათ. რომ არა ის სარტყელი, მიწისძვრის დროს ვერავინ გამოვასწრებდით შენობიდან, რადგან კედელი ორ მხარეს ჩამოინგრა, სახურავი კი ჰაერში გაკიდებულ სარტყელზე დარჩა დაბჯენილი. ვფიქრობ, სალოცავის მადლმა დაიცვა შთამომავლობა უბედურებისაგან. მეზობელ სოფელში, თლუღში, უსარტყელო შენობაში მყოფებმა ვერ გამოასწრეს, ნანგრევებში მოჰყვნენ. მართალია, არავინ დაღუპულა, მაგრამ დიდი სულიერი და ფიზიკური ტრავმა მიიღეს, ზოგი დაინვალიდდა. ჩვენ ფიზიკურად კი გადავრჩით, მაგრამ დღესაც მზარავს იმის გახსენება, ატორტმანებული შენობიდან როგორ გამოვრბოდით, როგორ გვახეთქებდა მიწისძვრის ბიძგები დერეფანში ერთი კედლიდან მეორეს, როგორ გვაცვიოდა ბათქაში და ღორღი თავს. მერე, ფეხს რომ ვერ ვიკიდებდით აძაგძაგებულ მიწაზე, როგორ სკდებოდა მიწა ფეხქვეშ და როგორ ინგრეოდა შენობები ჩვენ თვალწინ. წამმა შთანთქა წლების განმავლობაში შექმნილი – იყო და აღარ იყო რა.

მერე ძალიან დიდი ბრძოლა დაგვჭირდა სკოლის ახალი შენობის ასაშენებლად. სოფლის მაშინდელმა გამგებელმა სოსო გოგსაძემ და მე რკინის ქალამნები ჩავიცვით, რკინის ჯოხი დავიჭირეთ ხელში და ვინ აღარ შევანუხეთ, რათა მიგრირებულ და მცირეკონტინგენტიან, სოფელს სკოლა ჰქონოდა. მხარში დაგვიდგა რაიონის ხელმძღვანელობა, განათლების განყოფილების გამგე, ბატონი რამაზ ხაჭაპურიძე (ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს). დიდი დახმარება გაგვიწია ირინა გოცირიძემ, თბილისის მეტროპოლიტენის აღმშენებლისა და სხვა უამრავი სასიკეთო საქმის შემოქმედის – ვიქტორ გოცირიძის ქალიშვილმა. ქალბატონი ირინა დღესაც მხარში უდგას სკოლას დედის, დამსახურებული მასწავლებლის, ქალბატონ დარიკო ანტონის ასული ჩიხრაძის პატივსაცემად (ბეთლევში დაბადებულსა და გაზრდილს ველევის სკოლაში უსწავლია. ქალბატონი ირინა, ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას, წიგნებსა და სასწავლო ნივთებს გვიგზავნის, რაც დიდი შეღავათია სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკაში გვაქვს დარიკო ანტონის ასული ჩიხრაძის სახელობის წიგნადი ფონდი). იმავე წლის დეკემბრის მიწურულს შემოვედით სკოლის ახალ შენობაში. მანამ კი, სკოლის სასწავლო საცდელ მიწის ნაკვეთზე მდგარ ოროთახიან მასწავლებელთა სახლსა და იქვე გაშლილ კარვებში ვიყავით განთავსებულნი. ფიზიკურად და სულიერად გადაქანცულებმა ახალ შენობაში შემოსვლით ძლიერ გავიხარეთ. ხუმრობა ხომ არ იყო, სკოლა გვქონდა, ჩვენი ჭერი!



გოგიტა ჩიტაია

2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისი

იმ წელსვე რომ არ მოხერხებულიყო შენობის აგება, მერე ღმერთმა იცის, რა იქნებოდა, მომდევნო წლებში ხომ ყველაფერი ჩაკვდა.

თემის რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო (რაიონის ცენტრს 19 კმ-ითაა დაშორებული, მახლობელ სოფელს – 9 კმ-ით, რაჭის ქედის მარჯვენა ფერდობზეა შეფენილი, მთის იქით იმერეთია), კადრები ყოველთვის ჭირდა. ხშირია მასწავლებელთა დენადობა, ჭირდა და დღესაც ჭირს ინსტიტუტდამთავრებულთა და სკოლაში სამუშაოდ განაწილებით მოსულთა დამაგრება. რა გასაკვირია, სხვა რაიონებიდან მოსულებს რომ გაუჭირდეთ აქ გაჩერება, როცა ადგილობრივებს უძნელდებათ ამ რთულ პირობებში ცხოვრება. თითქმის საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს უმუშავიათ აქ: ქუთაისიდან – ზურაბ ნადირაძეს, რუსუდან ქუთათელაძეს, მანანა ჭელიძეს; გორიდან – ალექსანდრე ჩიხლაძეს; სამეგრელოდან – გოგიტა ჩიტაიას... რამდენიმე წლის წინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტით „ასწავლე საქართველოსათვის“, ჭიათურელი ნანა ასანიძე მუშაობდა, შემდეგ სიღნაღელი მაკა ნატროშვილი. ამ უკანასკნელმა, მიუხედავად იმისა, რომ აქ დაოჯახდა, მაინც არ ისურვა დარჩენა. დღეს სკოლაში არ გვყავს ინგლისური ენის მასწავლებელი. პროექტი „ასწავლე საქართველოსათვის“ ძალიან გვეხმარებოდა სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვაში. ჩვენისთანა მთის სოფლებს ამ პროექტის გარეშე გაუჭირდებათ კადრების მოზიდვა.

იმ რთულ პერიოდში, როცა ჩვენი სკოლა მიწისძვრამ იავარქმნა, გოგიტა ჩიტაიამ, რომელსაც ხუთი წელი აქვს გატარებული ჩვენს სოფელში და ყველა ველეველს ოჯახის წევრად მიაჩნია, დიდი დახმარება გაგვიწია. მან ხობში დაბრუნების შემდეგ მუშაობა გააგრძელა შუა ხორგოს საშუალო სკოლაში. სკოლის დირექტორ გულნარა ტაბაღუასა და პედაგოგებთან ერთად ჩვენი გასაჭირი გაიზიარა – მატერიალურ დახმარებასთან ერთად მორალური თანადგომა აღმოგვიჩინეს, რაც ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. დროის გადასახედიდან უფრო მეტად ვაფასებ მათ თანადგომას და კიდევ ერთხელ მინდა საჯაროდ ვუთხრა მადლობა და ვუსურვო ყოველივე კარგი.

თუ გოგიტა ჩიტაიას მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დავეყრდნობით, რომელიც მას ქუთაისის სახელმწიფო არქივში აქვს მოპოვებული, სოფელ ველევში დაწყებითი სკოლა 1873 წელს დაარსებულა, ასე რომ ს.ს.ი.პ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლას 140 წელი უსრულდება.

დასანანია, რომ სკოლაში, სადაც ერთ დროს პარალელური კლასები ფუნქციონირებდა, დღეს თითებზე ჩამოსათვლელი მოსწავლეები სწავლობენ, მაგრამ სულის სიმხნევეს ვინარჩუნებთ, ვპასუხობთ დროის მოთხოვნებს, რისი დასტურიც არის სხვადასხვა კონკურსებსა და სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში მოპოვებული სიგელები, დიპლომები, მადლობები.

ეკატერინე ჭიჭინაძე-გოგსაძე
სკოლის დირექტორი

ველევის სკოლა მიწისძვრის შემდეგ

ველევის სკოლის შენობა 1971 წელს

მოსწავლე შემოქმედი

პოეზიის საღამო კურსების საჯარო სკოლაში

ახალი პოეტური ქმნილების დაბადებას ნიჭიც სჭირდება და დიდი გამოცდილებაც, თუმცა რაც უნდა გენიალური რამ შექმნას ამა თუ იმ შემოქმედმა, წლების შემდეგ, ყმაწვილური ჟინით, მისებური გულწრფელობით შექმნილი ნაწარმოებები უფრო ღირებულია, რადგან ის სილაღის ასაკს უკავშირდება. ახალი სული, ახალი სისხლი, ახალი გულის ფეთქვა იგრძნობა ნაწერებში. სწორედ ასეთია სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლის **მარიამ ბეროძის** შემოქმედება. ცდილობს, ფურცლებზე ამომწურავად გადმოსცეს ის, რასაც გრძნობს და განიცდის.

მარიამ ბეროძე 1996 წლის 29 იანვარს ქალაქ ქუთაისში დაიბადა. ცხოვრობს ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში. ძალიან უყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა და მუსიკის მოსმენა. თავისუფალ დროს მოთხრობებსა და ლექსებს წერს. თავდაპირველად, ნაწერებს მალავდა, რადგან ფიქრობდა, ისინი გამომზეურებას არ იმსახურებდა. პირველად დედამ უბიძგა, რომ ტელეკომპანია „რიონის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიეღო მონაწილეობა. მანაც ბედი სცადა და გაუმართლა, პირველი ადგილი აიღო და საჩუქრად „ჩემი პირველი კრებულის“ 100 ეგზემპლარი დაუბეჭდეს, რომელშიც მისი ლექსები და მოთხრობები შევიდა. ჰქონდა წიგნის პრეზენტაცია რადიო „რიონში“ და გადაცემა „პიკის საათში“. ამის შემდეგ მოემატა თავდაჯერებულობა. მიაჩნია, რომ რასაც განიცდის, ლექსად უნდა თქვას, ხალხს უნდა გააცნოს და *„შემდეგ მათგან ან მოწონებას მივიღებ ან კრიტიკას. მთავარია, მკითხველმა გაიგოს, რას ვამბობ და რატომ. თუკი ისინი ჩემი ნაწერებიდან რაიმეს წაიღებენ, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს“* – ამბობს მარიამი.

საკუთარ თავს პოეტს არ უწოდებს, ფიქრობს, რომ ამის უფლება არ აქვს. მისი საყვარელი პოეტებია: გალაკტიონი, ტერენტი გრანელი და ნიკა ჩერქეზიშვილი. აქვს სურვილი, რომ ოდნავ მაინც დაემგვანოს მათ.

აქტიურად ატარებს პოეზიის საღამოებს მეგობრებთან ერთად (ქუთაისის 33-ე საჯარო სკოლა, ქუთაისის კოლეჯი „იბერია“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა). მიაჩნია, რომ აუდიტორიამ დადებითად მიიღო, მაგრამ განსაკუთრებულად ამაღლებული საღამო გამოვიდა მშობლიური სოფლის – კურსების საჯარო სკოლაში მეგობართან, **პაპუნა რევიშვილთან** (ქუთაისის 33-ე საჯარო სკოლის XI-კლასელი) ერთად.

მინდა, მარიამ ბეროძეს მხატვრული, კაზმული სიტყვის დიდ სარბიელზე შემდგომი წარმატებები ვუსურვო და გულწრფელი, კეთილი სურვილებით მივულოცო დაბადების დღე.

მაია მაღლაფერიძე
სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

მარიამ ბეროძე

ვარსკვლავთა ჩრდილში

უფსკრულთან ვდგავარ
ვარსკვლავთა ჩრდილში,
ფეხქვეშ შიშისგან თრთის დედამიწა,
პლანეტებს მიღმა გაფანტულ ცრემლებს,
უკვე ხარბად მთხოვს გამშრალი მიწა...
აღარსად ვეძებ იმედს და ნათელ,
მზის მოკაშკაშე, ღვთაებრივ დისკოს,
გამოფიტული უაზრო ჟინით,
დაბლა დავყურებ ხახამშრალ ნილოსს.
ვეღარ დაიწყო ღრუბლებმა თოვა,
ჰიმალაებიც იკეცენ კალთებს,
შეუფოთლავი ხეების ძირში,
კატა ილოკავს სისხლიან თათებს.
გული არაა... პლანეტის ბირთვში
ვერ ასრულებულ ოცნებებს ვხედავ,
სული გაჰკივის... უფსკრულისაკენ
მყარად გადადგმულ ნაბიჯებს ვბედავ.
მე საკუთარ თავს ზედმეტად ვთვლიდი,
ეს, დედამიწა ყოფილა მეტი,
მოდი გაჩერდი, ერთხელ გაჩერდი
თორემ ცხოვრებამ დამასხა რეტი!
ვერ შევაწებე წარსული აწმყოს,
არ გავითქვიფე ათასგვარ ხალხში,
მე ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი
თუნდაც სხვის გულში, ქუჩაში, სახლში...
უფსკრულთან ვდგავარ
ვარსკვლავთა ჩრდილში,
თავზე დამცქერის დიადი ზეცა,
როგორ გადავხტე ბნელეთის ზღვაში,
როცა იესო ჯვარს ჩემთვის ეცვა?

სასკოლო ღონისძიება

სამოქალაქო განათლება სასკოლო ცხოვრებაში

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია PH International (ადრე ცნობილი, როგორც პროექტი „ჰარმონია“), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამის მიზანია, გააუმჯობესოს სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხი და გააქტიუროს ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში. პროგრამა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

პროექტი „ჰარმონია“, საქართველოს მასშტაბით, 740 სკოლასთან თანამშრომლობს. ყვარლის რაიონის გავაზის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გიორგი სურამლიშვილი**) 2010 წელს შეიქმნა სამოქალაქო კლუბი, რომლის პრეზიდენტი, მაშინ ჯერ კიდევ ჩვენი მოსწავლე, ამჟამად სტუდენტი **სალომე ბებურიძე** იყო. 100 სკოლას შორის ჩვენი სკოლა ერთ-ერთია, რომელიც რამდენიმე წელია აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა საინტერესო პროექტებს. სკოლას ჰყავს სამოქალქო განათლების მასწავლებელი **ლია ნონიაშვილი**, რომელიც, კლუბის წევრებთან ერთად, არაერთხელ გადამზადდა ტრენინგკურსებით. მათ საქველმოქმედო მიზნებისათვის საჭირო საკმაოდ დიდი ინფორმაცია მიიღეს. არაერთხელ მოიპოვეს მცირე გრანტები და ადგილობრივ თუ რაიონულ ორგანიზაციებთან თანადაფინანსებით უამრავი კეთილი საქმე გააკეთეს სოფელში.

სამოქალაქო კლუბის ინიციატივით, სკოლაში ჩატარდა აქცია „დავეხმაროთ გაჭირვებულ ოჯახებს“. სკოლის სამოქალაქო კლუბის და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების, სკოლის დირექციის, მუსიკის და ცეკვის მასწავლებლების თანადგომით მომზადდა საქველმოქმედო კონცერტი. შემოწირული თანხით შეძენილ იქნა საახალწლო საჩუქრები და ტკბილეული, რომელიც გადანაწილდა სოფლის უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე.

კლუბის წევრებმა კიდევ ერთი პროექტის განხორციელება მოასწრეს, რომელიც გავაზის საბავშვო ბაღის ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხს ეხებოდა. დღესდღეობით, საბავშვო ბაღს 107 აღსაზრდელი ჰყავს. ბაღის თანამშრომლებს მუშაობა უწევდათ არაკომფორტულ პირობებში – სამზარეულოში არ ჰქონდათ არც ბუნებრივი აირი და არც ნორმალურად მომუშავე გაზქურა. ამის გამო, პატარებს ხშირად უგვიანდებოდათ სადილი. სკოლის დირექტორის, სამოქალაქო კლუბის წევრებისა და მათი ხელმძღვანელის სტუმრობა შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი კახეთის“ დირექტორთან, ბატონ **მიხეილ სამხარაულთან** შედეგიანი აღმოჩნდა. მან გულთან ახლოს მიიტანა პატარების გასაჭირი და პროექტის მიღმა, საკუთარი ხარჯებით, მეორე დღესვე დაიწყო საჭირო სამუშაოები. პირველ რიგში, საბავშვო ბაღს დაუმონტაჟა ბუნებრივი აირი, ხოლო პროექტის ფარგლებში მოპოვებული თანხით შეძენილ იქნა ახალი გაზქურა. ამ შედეგით არა მარტო საბავშვო ბაღი, არამედ მთელი სოფელია მადლიერი. თქვენი გაზეთის საშუალებით დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს და ორგანიზაციას, ვინც გვერდში დაუდგა გავაზის საჯარო სკოლის მოსწავლეებს კეთილი საქმეების კეთებაში.

ლელა კაპანაძე
ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლის კოორდინატორი

სასკოლო ღონისძიება

საქართველოს პატრიარქის იუბილეს აღსანიშნავად

ჭიათურა, მშვენიერი და კოხტა ქალაქი. განთქმული თავისებური ადგილმდებარეობით, სტუმართმოყვარეობითა და კოპწია იმერლებით. ჭიათურა ამაყობდა და დღესაც ამაყობს თავისი წარსულითა და აწმყოთი, იმ ტაძრებითა და მონასტრებით, რომლებიც ჩვენი ქალაქისა და ერის კუთვნილებაა. ქალაქს ამშვენებს განათლების კერები, მათ შორისაა სრულიად ახალგაზრდა „წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის“ ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა (დირექტორი – **ნანული წერეთელი**), რომელიც 2010 წლის 18 სექტემბერს გაიხსნა. სასწავლებელი სრულიად **საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ** აკურთხა და დალოცა.

* * *

სკოლა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლის იუბილეს ზეიმობს. სტუმართა ათვლა შეუძლებელია.... ცხუმ-აფხაზეთისა და ჭიათურის და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი, მღვდელმთავრები...

მოგეხსენებათ „ქართული მონასტერი არის არა მხოლოდ სულიერების, არამედ მეცნიერების ცენტრი“ (ილიაII). საქართველოს დღეს ისე სჭირდება განათლებული კაცი, როგორც არასდროს. ეს კარგად ესმით სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ამიტომაც გადაწყვიტეს პატრიარქის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კვირეულის ჩატარება და მეტის გაგება ერის სულიერ მწყემსმთავარზე.

კვირეული ნაყოფიერი და შემოქმედებითი ღონისძიებებით იყო დატვირთული: გამოვიდა პატრიარქისადმი მიძღვნილი გაზეთი „ათინათი“ (რედაქტორი – მოსწავლე **მარიკა ასანიძე**). ბავშვები საოცარი სითბოთი და სიკეთით სავსე სიტყვებით ამკობენ პატრიარქს, დღეგრძელობას უსურვებენ მას. პატარებმა ერის სულიერი მამისადმი მიძღვნილი ალბომი მოამზადეს.

საოცარი სიყვარულით, სავსე გულით გამთბარი წერილები გაუგზავნეს მეხუთე კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი – **ნინო ბრეგვაძე**) უწმიდესსა და უნეტარესს.

წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და ვახტანგ გორგასლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი წირვა აღასრულა სკოლის მოძღვარმა – **მამა გიორგიმ (წერეთელი)**, თანამსახურობდა **მამა თეიმურაზი (რუხაძე)**.

უწმიდესის ნაღვაწ-ნაჯაფი ხელებით მოჩუქურთმებული, მარგალიტებად აწყობილი „საგალობლების ზეიმი“ ათბობდა სკოლის სივრცეს, მსმენელს სანთლისფერი გადაჰკროდა სახეზე (პედაგოგი – **მაია კაპანაძე**, სკოლის I-XII კლასების მოსწავლეები).

ზღაპრულ სასუფეველში გვამოგზაურეს მეორე კლასის მოსწავლეებმა და მასწავლებელმა **ლია გაგნიძემ.** წმიდა ბარბარეს ხსენების დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაზე.

განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა კონფერენცია, თემაზე: „ჩვენი პატრიარქი“. მომხსენებლებმა – **ე. მოქაცაძემ** (XIIკლ.), **ხატია სულაძემ** (XIკლასი), **ნათია ფხალაძემ** (Xკლასი), **ბაგრატ გამყრელიძემ** (X კლასი), **ცირა გამყრელიძემ** (Xკლასი) წარმოაჩინეს უწმიდესისა და უნეტარესის ბიოგრაფია – პირველი სიძნელეები და მათი გადაჭრის გზები, ერისა და ეკლესიის სადარაჯოზე; პატრიარქის შემოქმედება, სამების საკათედრო ტაძარი.

სკოლის პედაგოგებმა – **სოფიო ჭიოკაძემ, ინგა ბარბაქაძემ, ნანა გველესიანმა, ხათუნა ღამბაშიძემ** საკონფერენციო თემებად აირჩიეს: უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრება, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინება; ახალი წმინდანები; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და პატრიარქი; განათლება, მეცნიერება, უკვდავებაში გადასულ სახეთა არდავიწყება. მომხსენებლები წრფელი გულით, მეცნიერული სიზუსტით მოგვითხრობდნენ უწმიდესისა და უნეტარესის ხასიათის თვისებებზე, სიკეთეზე, სიბრძნეზე, თავმდაბლობასა და სამშობლოს სიყვარულზე.

მამა თეიმურაზმა (რუხაძე) დამსწრე საზოგადოებას გააცნო „უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის“.

კვირეულის დასკვნითმა საზეიმო ღონისძიებამ სკოლიდან აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში გადაინაცვლა. ყველასათვის საყვარელმა შემოქმედმა, პოეტმა, ხელოვანმა **მაია ტყემალაძემ** წარმოადგინა სცენარი – „ცრემლით კოცნის მრევლი მიწას პატრიარქის ნაკურთხევს“. მონაწილეობდნენ I და XII კლასების მოსწავლეები, რომელთაც პატრიარქის სიყვარულით გამთბარ საოცარ სამყაროში გვამოგზაურეს.

ისმოდა ქართული გალობა, ბავშვების თვალებში საქართველოს საჭეთმპყრობლის დიდი სიყვარული კიაფობდა. მშვიდობა თქვენდა... მრავალჟამიერ...

ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტმა დანიელმა მშვიდობა და დღეგრძელობა უსურვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. დალოცა სრულიად საქართველო.

გვჯერა, რომ უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით საქართველო გაბრწყინდება.

ციური ცოცხალაშვილი
„წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის“ ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

სამუშაო შეხვედრა ზოგადი განათლების საკითხებზე

საქართველოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) 2011-2015 წლების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, სიღნაღში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** გახსნა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ: გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილე **ნადა მარასოვიჩი** და **ფილიპ ტესტოტ-ფერი**,

გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების მრჩეველი ჟენევიდან.

ორდღიანი შეხვედრა ზოგადი განათლების ათი განმსაზღვრელი ფაქტორის ანალიზს ეძღვნებოდა და მისი ორგანიზატორები იყვნენ: გაეროს ბავშვთა ფონდი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შემდგომში ვორქშოფის შედეგად მიღებული მონიტორინგის ჩარჩო სამინისტროს და მის პარტნიორებს იმ ძირითადი ფაქტორების დაძლევაში დაეხმარება, რაც ზოგად განათლებაში სამართლიანობის პრობლემას იწვევს.

აღნიშნული ღონისძიება გაეროს ბავშვთა ფონდის გლობალური ინიციატივის – „სამართლიანობის სისტემების შედეგების მონიტორინგი“ – ანალოგია. მსგავსი პრაქტიკა 2012 წელს სკოლამდელი განთლების/დაწყებითი სწავლების სფეროში დაიწყო. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ რიგი კვლევები უკვე ჩატარდა, როგორც სკოლამდელი განათლების მონიტორინგის მატრიცის ნაწილი.

შეხვედრა ისტორიის პედაგოგთა ევროპული ასოციაციის წარმომადგენლებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, **ალუდა გოგლიჩიძე** და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი **თეა ქარჩავა** „ევროკლიოს“ (ისტორიის პედაგოგთა ევროპული ასოციაციის) წარმომადგენლებს და ამ საერთაშორისო არასამთავრობო საგანმანათლებლო ორგანიზაციის წევრ ორგანიზაციას – საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის ხელმძღვანელებს შეხვდნენ. სტუმრებს შორის ასევე იყვნენ ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის წევრები უკრაინიდან და სამოქალაქო საზოგადოების, განათლების, კულტურის საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე საქართველოში.

მოწვეულმა სტუმრებმა მინისტრის მოადგილეს და საზოგადოებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს ის ახალი რეგიონული პროექტი გააცნეს, რომელიც ხორციელდება „ევროკლიოს“ ხელშეწყობითა და დაფინანსებით. პროექტში ჩაერთვებიან 5 ქვეყნის პედაგოგები (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი და სომხეთი). ამ რეგიონული პროექტის ფარგლებში შეიქმნება დამხმარე რესურსი პროექტში ჩაბმული 5 ქვეყნის პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ისტორიის საგნის ინოვაციურ სწავლებას.

ალუდა გოგლიჩიძემ და თეა ქარჩავამ დადებითად შეაფასეს ევროპული ასოციაციისა და ქართველ პედაგოგთა შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. ორივე მხრიდან გამოითქვა ისტორიის სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესების მიმართულებით კოორდინირებული თანამშრომლობის სურვილი. აგრეთვე, მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა სამომავლოდ, პედაგოგთა ტრენინგების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, თანამშრომლობაში გაითვალისწინონ „ევროკლიოს“ კავშირები, გამოცდილება და ადამიანური რესურსები.

წიგნის თვრო მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >